როგორ განვავითაროთ თვითრეფლექსია თვითშეფასების საშუალებით

ელენე პაპიძე

ნატა ქირია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასოცირებული პროფესორი

პროექტის ხელმძღვანელი: მაია მამისეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ელენე პაპიძე

ნატა ქირია

თარიღი: 26.06.2021

მადლობა

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩვენი პრაქტიკის კვლევის განხორციელებაში. პირველ რიგში, თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით კვლევაში აქტიურად ჩართულ სკოლის მასწავლებლებსა და ჩვენი პროექტის ხელმძღვანელს, სკოლის დირექტორს - ქალბატონ მაია მამისეიშვილს. ასევე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ნათია ანდღულაძეს, კვლევის ჩატარებისა და სამაგისტრო ნაშრომის შექმნის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

სარჩევი

აბსტრაქტი 1

Abstract 3

შესავალი 4

1. ლიტერატურის მიმოხილვა 6

1.1 თვითშეფასება, როგორც სწავლის კომპეტენცია 6

1.2 თვირეფლექსიის მოდელები 17

1.3 მოსწავლეების თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის განვითარების მეთოდები 19

2. საკვლევი პრობლემა 30

3. კვლევის მეთოდოლოგია 33

3.1 კვლევის მეთოდი 33

3.2 კვლევის მონაწილეები 35

3.3 დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდოლოგია 35

3.4 ინტერვენციების შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია 37

3.5 ინტერვენციების შეფასების მეთოდოლოგია 37

3.6 კვლევის შეზღუდვები 38

4. დიაგნოსტიკური კვლევის შედეგები 39

5. ინტერვენციების აღწერა 43

6. ინტერვენციების შედეგები 47

7. შედეგების განხილვა 51

8. რეკომენდაციები 53

9. დასკვნა 55

გამოყენებული ლიტერატურა 57

დანართები 59

აბსტრაქტი

თვითშეფასება ერთ-ერთია იმ გამჭოლ კომპეტენციათაგან, რომელიც მოსწავლეს ეხმარება შეაფასოს და გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი. განათლების მკვლევრები სხვადასხვა ქვეყნიდან თანხმდებიან, რომ მოსწავლისთვის თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის კომპეტენციების განვითარება აუცილებელია სიღრმისეული ცოდნის მისაღებად. ამ აზრს საქართველოშიც იზიარებენ. სწორედ ამიტომ, ბოლო ორი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც შესულია ეს კომპეტენცია, როგორც გამჭოლი უნარი და ღირებულება. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებში თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის უნარების განვითარება დღევანდელი განათლების სისტემის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, ჩვენი საკვლევი თემაა: "როგორ განვავითაროთ თვითრეფლექსია თვითშეფასების საშუალებით". ხოლო ჩვენი კვლევის მიზანია: თვითშეფასების დახმარებით მოსწავლეთა თვითრეფლექსურობის განვითარების მოდელის შემუშავება. ამ მიზნის მისაღწევად კი კვლევის ფარგლებში შემდეგ საკვლევ კითხვებს გავეცით პასუხი: რა მიდგომებს იყენებენ მასწავლებლები მოსწავლეებში თვითშეფასების კომპეტენციის განვითარებისთვის? რამდენად აქვთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს განვითარებული თვითშეფასების კომპეტენცია? რა უშლით მოსწავლეებს ხელს თვითშეფასების კომპეტენციის განვითარებაში? როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა თვითრეფლექსურობის განვითარებას? კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, კერძოდ კი პრაქტიკის კვლევის მეთოდის დახმარებით. განხორციელებული პრაქტიკის კვლევის შედეგად ერთგვარი საფუძველი ჩავუყარეთ სკოლაში წერილობითი და სისტემატიური თვითშეფასების პროცესს. შევქმენით და გამოვცადეთ რესურსები, რომლებმაც ხელი შეუწყეს მოსწავლეებში თვითრეფლექსურობის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ამ ინტერვენციებმა განსხვავებულად იმოქმედა სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მოსწავლეებზე. ასევე, ჩვენი კვლევის ფარგლებში გაუმჯობესდა მასწავლებელთა პრაქტიკაც. მათ გარკვეული გამოცდილება მიიღეს თვითშეფასების განმავითარებელი დავალებების შექმნასა და მათ

სასწავლო პროცესში დანერგვასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ყოველივე ეს იქნება ძლიერი ფუნდამენტი კვლევის მომავალი განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: პრაქტიკის კვლევა, თვითშეფასება, თვითრეფლექსია, პრაქტიკის გაუმჯობესება

Abstract

Self-assessment is one of the key competences assisting students to evaluate and improve their learning process. Education researchers from different countries agree that the development of self-assessment and reflection is essential for students to obtain profound knowledge. The educational system of Georgia also considers this opinion and consequently, the last two generations of national curriculum involve this competence as the key skill and value. However, it has been found out that developing students' self-assessment and reflection is a challenge for the current education system. Therefore, our research topic is "how to develop reflection through self-assessment". In accordance with the above - mentioned challenges, the aim of the research is to elaborate a model for the development of students' reflexivity with the help of self-assessment. To achieve this goal, the research answered the following questions: what approaches do teachers use in terms of self-assessment development among the students? To what extent do elementary school students have developed self-assessment competence? What prevents students from developing self-assessment competence? How to promote students' reflection development? We conducted research by using qualitative methodology, in particular with the help of the action research method. As a result of the conducted action research, we established a foundation at school for the development of self-assessment competence. We created and tested resources, which promoted reflexivity development among the students. It is noteworthy that these interventions have affected students of different academic achievements in different ways. In addition to this, as a part of our research, teachers' practice also has improved. They obtained a more thorough understanding of the importance of developing self-assessment competence among students. Additionally, they gained some experience in developing self-assessment tasks and incorporating them into the teaching process. We think all this will be a strong foundation for the future development of the research.

Key words: Action research, reflection, self-assessment, improvement of practice